https://www.ambebi.ge/article/22861-qmastsavleblebsa-da-mostsavleebs-sacdeli-bocvrebivith-nu-eqcevianq/

"**მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საცდელი ბოცვრებივით ნუ ექცევიან**!"
23:15 / 02-07-2010

ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონებისა და გაწვრთნილი ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა", - ამბობდა იღია ამ მეტად მნიშვნელოვანი და სათუთი სფეროს პრობლემებზე საუბრისას, რომელიც ამჟამად ექსპერიმენტთა პოლიგონად იქცა.
განათლების რეფორმის საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მანანა ღურჭუმელიძე.
- მომავალი წლის სექტემბრიდან საჯარო სკოლების სავალდებულო ბრენდირება - მათთვის ვარსკვლავების მინიჭების პროცესი იწყება, რომლის მიზანი, განათლების სისტემის მესვეურთა განცხადებით, სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნაა...

- სახელმწიფო ვალდებულია, ყველა მოქალაქეს ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა მისცეს. ასე რომ, იმ მოსწავლეების მშობლების წინაშე, რომლებიც ისწავლიან 6-ვარსკვლავიან სკოლაში, როცა ქვეყანაში ბევრი 7-ვარსკვლავიანი სკოლა იარსებებს, სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი. ჩვენ ხელისუფლებას ვპირდებით, რომ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, ვისი უფლებებიც შეიღახება, დავეხმარებით სარჩელების მომზადებაში, რადგან ამ შემთხვევაში დაირღვევა კონსტიტუციის მოთხოვნა, რომ ყველა მოქალაქეს თანაბარი და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა ჰქონდეს.

გაუგებარია, რას გულისხმობენ კონკურენციასა და ვარსკვლავებში, განათლების სისტემა ხომ მომსახურების სფეროა, რომელიც მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადებით ფინანსდება... თუმცა, ყველამ კარგაც ვიცით, რამდენად უზრუნველყოფს დღევანდელი სკოლა მომავალი თაობისთვის ღირსეული განათლების მიღებას... ჩემი აზრით, ეს არის მცდელობა, განათლების სისტემაში არსებული პრობლემები მასწავლებლებსა და მათ დაბალ კვალიფიკაციას გადააბრალონ. სინამდვილეში კი, განათლების სისტემაში ინსტიტუციური პრობლემებია.

საინტერესოა, წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის სკოლამ ვის გაუწიოს მეტოქეობა? და თუ ამ სოფლის მცხოვრები გაიგებს, რომ ბანოჯაში უკეთესი 10-ვარსკვლავიანი სკოლაა, როგორ წაიყვანს იქ თავის შვილს?! დავფიქრდეთ, საქართველო ხომ მარტო თბილისი არ არის?! ცვლილებების განხორციელებისას ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, საცდელი ბოცვრები არც ჩვენი მოსწავლეები არიან და არც - მასწავლებლები! განათლების სისტემამ მხოლოდ ხელი კი არ უნდა შეუწყოს მოქალაქის აღზრდა-განათლებას, არამედ თვითონ უნდა უზრუნველყოს ეს პროცესი.

- პედაგოგთა ეთიკის კოდექსით, მასწავლებლებს, რიგ აკრძალვებთან ერთად, თავიანთი მოსწავლეების რეპეტიტორობა ეკრძალებათ.
- მიმაჩნია, რომ როცა მასწავლებელი თავის მოსწავლეებს ამზადებს, ეს ინტერესთა კონფლიქტია, თუმცა, ეს საკითხი ეთიკის კოდექსით კი არა, იმ ხელშეკრულებით უნდა დარეგულირდეს, რომელიც მასწავლებელთან იდება.
- რეფორმის შემდეგ, შემცირების ნაცვლად, რეპეტიტორთა არმია სულ უფრო იზრდება. რით ახსნით ამას?
- რეპეტიტორთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. თუ 3 წლის წინ მოსწავლეთა 40 პროცენტი ემზადებოდა, ახლა 85 პროცენტი დადის რეპეტიტორთან. ეს ჩემი მონაცემი არ არის, შეგიძლიათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვებგვერდზე იხილოთ. ამის მიზეზი კი არის ის, რომ სკოლებში სწავლა-აღზრდისთვის შესაბამისი პირობები არ არის შექმნილი.

ამ პრობლემის გადაჭრას ახლა ადმინისტრირების გამკაცრებით ცდილობენ, რის შედეგადაც, კვალიფიციური მასწავლებლები სკოლას დატოვებენ, რადგან ადამიანს ღირსეული შრომისთვის მოტივაცია სჭირდება - ხელფასი და აღიარება. ჩვენი მასწავლებლების უდიდესი ნაწილი მოწოდებით პედაგოგია, მაგრამ როცა შინ მშიერი შვილები გველოდებიან, მაღალ მატერიებზე ძნელია ფიქრი.
ფაქტია, სახელმწიფო არ აფინანსებს სკოლებს სათანადო დონეზე. დღეს თბილისში აბიტურიენტის მომზადება ერთ საგანში 1000-დოლარამდე ღირს, ხოლო სკოლაში ერთი მოსწავლისთვის გამოყოფილი ვაუჩერი წელიწადში მხოლოდ 350 ლარია! როგორ უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ ამ თანხით ხელფასი, სულ მცირე, 8 მასწავლებელს?! იმის გათვალისწინებით, რომ ხელფასიდან 20 პროცენტი საშემოსავლო გადასახადია.
ასევე უნდა დაფარო კომუნალური და ადმინისტრაციის ხარჯი. ნორმალურ ქვეყანაში რეპეტიტორი არსად არის. ახლახან ჩვენთან სტუმრად ჩამოსულმა ამერიკელმა პედაგოგებმა ზესტაფონში ჩვენს მასწავლებლებთან შეხვედრაზე თქვეს, რომ სკოლაში, გაკვეთილების შემდეგ, კერძო პრაქტიკა ჰქონდათ. გაირკვა, რომ სკოლის დირექცია მათ დამატებით თანხას უხდის, რათა დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვები ამეცადინონ. ასე რომ, განათლების სისტემაში პროგრესულ ცვლილებებზე საუბარი ცარიელ სიტყვად დარჩება ფინანსების მოზიდვის გარეშე.
- განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, რომ ყველა პედაგოგის საათობრივი განაკვეთის 18 საათამდე შევსების შემდეგ, მათი ხელფასიც გაიზრდება, რაც, ბუნებრივია, მასწავლებელთა რიცხვის შემცირების ხარჯზე მოხდება...

- ამ ცვლილების მომხრეები აცხადებენ: ბოლოს და ბოლოს, ეს თანხა სკოლაში არ რჩებაო? საქმეში ჩაუხედავი ადამიანი მათ შეიძლება დაეთანხმოს კიდეც, მაგრამ, რეალურად, პედაგოგების შემცირების საკითხი მას შემდეგ დადგა, რაც მათ სახელმწიფომ ჯანმრთელობის დაზღვევისთვის ვაუჩერი გამოუყო. ამრიგად, თუ 20 ათას მასწავლებელს დაითხოვენ სკოლებიდან, ამით 6 მილიონ ლარს "გამოათავისუფლებენ".

ეკონომიკის მინისტრმა პირდაპირ თქვა: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 25 მილიონ ლარს დაზოგავსო, ხოლო განათლების მინისტრი აცხადებს, რომ

დიდი ქალაქების სკოლებში მანდატურების შესვლას, სათვალთვალო კამერების დაყენებასა და ა.შ. დააფინანსებს. ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია. მასწავლებლების რიცხვის ასე, ხელოვნური შემცირებით სწავლის ხარისხი ნამდვილად ვერ ამაღლდება.
ამასთანავე, ჯერ კიდევ ძალაშია განათლების მინისტრის 2005 წლის ბრძანება #576, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მასწავლებელს აქვს უფლება, თუნდაც ერთი საათი ჰქონდეს სკოლაში. ჩემი აზრით, 15-20 ათასი პედაგოგი გათავისუფლდება სკოლებიდან, ისევე როგორც ბიბლიოთეკარები, ექთანები და ა.შ.
- დიდი ხმაური მოჰყვა თქვენს განცხადებას, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, შაშკინის მიერ სკოლების დირექტორთა შეკრებაზე გაკეთებული განცხადების შემდეგ, თქვენი ორგანიზაციის ანგარიშზე საწევრო გადასახადები აღარ ირიცხება...
- ბოლო სამი წელიწადია, ცდილობენ, ჩაერიონ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაში. ამიტომ მივმართეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, ასევე მსოფლიოს მასწავლებელთა კავშირს, მათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში სარჩელი შეიტანეს.
9 ივნისს ჟენევაში გაიმართა სტანდარტების კომისიის სხდომა, რომელზეც სასწრაფოდ განიხილეს ეს საკითხი და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება. რამდენიმე დღის წინ საქართველოში იმყოფებოდა ევროპის მასწავლებელთა პროფკავშირებისა და მსოფლიოს მასწავლებელთა პროფკავშირების მიერ გამოყოფილი კომისია, რომელიც შეისწავლიდა, ერევიან თუ არა სახელმწიფო სტრუქტურები ჩვენს საქმიანობაში.
რესურსცენტრების არაერთმა ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ მათ პირდაპირ ავალებენ, უთხრან სკოლის დირექტორებს, ჩვენს ანგარიშზე საწევრო არ გადმორიცხონ. სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" შემდგარ შეხვედრაზე შაშკინმა განუცხადა სკოლის დირექტორებს, ვინც პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს საწევროს გადაურიცხავთ ან მათთან კონტრაქტს დადებთ, დაისჯებითო.
არადა, დღესაც ძალაშია ჯერ კიდევ 1998 წელს ჩვენსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სამინისტრომ ცენტრალიზებული წესით უნდა გადმორიცხოს საწევროები, ახლა კი ცდილობენ, მათ შორის შეთითხნილი ტელესიუჟეტებით, ყველაფერი მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორებს გადააბრალონ.

P.S. ამ საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, აკაკი სეფერთელაძის კომენტარისთვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, ნინო პოტრჟებსკაიას დავუკავშირდით, მაგრამ ინტერვიუზე შეთანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ნინო კვიტაშვილი

ყოველკვირეული გაზეთი "ყველა სიახლე"
(გამოდის ხუთშაბათობით)